ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის

ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ 2024 წელს

2024 წლის ც“ ჰეპატიტის, შიდსისა და ტუბერკულოზზე მოსახლეობის სკრინინგის პროგრამით დღეისთვის გამოკვლეულია 852 მოქალაქე. მათგან 2 არის დადებითი. ორივეს ჩავუტარეთ კონფირმაციული კვლევა და ჩაერთვნენ მკურნალობაში. რუტინულად მიმდინარეობს ბავშვთა პროფილაქტიკური აცრები. ჩატარდა 354 აცრა იმუნიზაციის კალენდრით. იმუნიზაციის კვირეულთან დაკავშირებით, ასევე სხვადასხვა საინტერესო თემაზე ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო ლექცია-საუბრები საჯარო სკოლებში, ბაღში. ჩატარდა გეგმიური მონიტორინგი სამედიცინო და საგანმანათლებლო სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებებში. გაკეთდა 436 აცრა ანტირაბიული ვაქცინით 183 პაციენტზე და გაიხარჯა 85 ფლაკონი იმუნოგლობულინი 36 პაციენტზე. შესწავლილ იქნა ცოფზე საეჭვო ცხოველისგან დაზიანების 8 შემთხვევა, ცოფის დიაგნოზი არცერთ შემთხვევაში არ დადასტურდა. გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო 18 ოქტომბერს და აიცრა 297 მოქალაქე, მ.შ. ბავშვებიც.

2024 წლის 6-7 ივლისს ქუთაისის ენდოკრინოლოგიური ცენტრის ექიმთა ბრიგადის მიერ ჩატარდა მოსახლეობის უფასო გამოკვლევა-გასინჯვები.

გაისინჯა:

ენდოკრინოლოგის მიერ-77 პაციენტი

ნეფროლოგის მიერ-26

დერმატოლოგის მიერ-34

ნევროპათოლოგის მიერ-17

ექოსკოპისტმა მიიღო 97 პაციენტი

ლაბორატორიული კვლევა სულ-241. მ.შ. : TSH-ჰორმონზე-91

D ვიტამინის განსაზღვრა-45

ჰომო-ინდექსის განსაზღვრა-14

გლიკოზირებული ჰემოგლობინი-30

რკინის განსაზღვრა-18

კალციუმის განსაზღვრა-33

მაგნიუმის განსაზღვრა-10

7-8 ნოემბერს ქ. ქუთაისის ქალთა ჯანმრთელობის ცენტრ „ჰერას“ მიერ „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში გამოკვლეულ იქნა ონის მუნიციპალიტეტეის 98 ქალი 40-70 წლის ასაკის. კერძოდ ჩატარდა მამოგრაფიული კვლევა და ექოსკოპიური კვლვა.

ჩატარდა აუტოფსიური კვლევები და სხვა. მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა სასწავლო ტრენინგებში.